სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/02

ქ. თბილისი 09 01 2020 წ.

აკადემიური საბჭოს მორიგი არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-9 და მე-10 მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს აკადემიური საბჭოს მორიგი არჩევნები 2020 წლის 29 იანვარს.
2. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ორი წარმომადგენელი. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. აკადემიურ საბჭოში თითოეულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა), შეიძლება ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი. აკადემიურ საბჭოს წევრად აირჩევა ამ ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, გარდა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორისა.

4. აკადემიური საბჭოს წევრებს ფაკულტეტიდან ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ-სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

5. აკადემიური საბჭოს წევრს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ირჩევენ შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წევრები, ხოლო არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების 44-ემუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

6. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2020 წლის 15 იანვრიდან და დასრულდეს 2020 წლის 22 იანვარს.

8. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

9. ფაკულტეტის საბჭოებმა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოებმა 2020 წლის 15 იანვრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

10. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (ქ.ქოქრაშვილი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

11. არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

12. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

13. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

რექტორი — არჩილ ფრანგიშვილი